

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამოქმედო გეგმა

(2016-2020)

ასოცირებული პროფესორი
მერაბ ხალვაში

სტრატეგიული ხედვა

ვიდრე კონკრეტულ საკითხებზე დავიწყებდეთ საუბარს, დასაწყისშივე მსურს ჩამოვყალიბო ის ძირითადი პოსტულატები, რომლებიც უკავშირდება უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებას და იმ საბოლოო შედეგებს, რომელზედაც ჩვენი შეხედულებითა და ძალისხმევით უნდა გავიდეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- მაღალი სოციალური სტატუსის, აკადემიური და სამოქალაქო ღირებულებების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

- კვლევითი ცენტრი, რომელიც ეროვნული და რეგიონული ინტერესების გათვალისწინებით, გამოკვეთილ კვლევით პრიორიტეტებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ერთიან საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში;

- საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამებზე ისწავლიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები და მათ ექნებათ რეალური თეორიული და პრაქტიკული საფუძველი დასაქმდნენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ;

- უნივერსიტეტი, სადაც მაღალი ხარისხის სამეცნიერო მუშაობისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით ინტეგრირებული იქნება მეცნიერული ცოდნა, გამოცდილება და სწავლების თანამედროვე მეთოდები.

ძირითადი პრობლემები:

წარმოადგენთ იმ ძირითად პრობლემებს, რომლებიც ჩემი შეხედულებით ხელს უშლის უნივერსიტეტის განვითარებას:

1. მიუხედავად იმისა, რომ დღეს დაწესებულებას უჭირავს გარკვეული ადგილი და როლი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში (თუმცა ეს არ გახლავთ საკვანძო ადგილი), უნივერსიტეტი სრულფასოვნად არ წარმოადგენს მაღალი საზოგადოებრივი აქტიურობის ცენტრს;
2. განათლების ხარისხი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს და არსებობს ერთგვარი წყვეტა უნივერსიტეტსა და შრომის ბაზარს შორის;
3. სამეცნიერო კვლევითი პროდუქტების უმეტესი ნაწილი ატარებს ხასიათს „კვლევა კვლევისთვის“ და ნაკლებად რეზონანსულია საზოგადოებასა და ბიზნეს წრეებში;
4. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი არ გახლავთ მაღალი. მიუხედავად მოქმედი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების სიმრავლისა, სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი საჭიროებს ამაღლებას;
5. აშკარაა სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მეცნიერ-მკვლევარს შორის არსებული სუსტი კავშირი.
6. უნივერსიტეტს არ ჰყავს სტრატეგიული „მეგობრები“;
7. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა საჭიროებს განახლებას, რათა მის ბაზაზე ეფექტურად განხორციელდეს სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესი, ასევე განვითარდეს სტუდენტური ცხოვრება;
8. მმართველობითი პროცესის ეფექტურობა საჭიროებს განახლებასა და გაძლიერებას.

ზემოთ ჩამოყალიბებული ხედვისა და პრობლემების გაანალიზების საფუძველზე წარმოგიდგინთ იმ ძირითად მიზნებს, რომელთაც უნივერსიტეტის განვითარების პრიორიტეტებად მვიჩნევ:

მიზნები:

1. უნივერსიტეტმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი სოციალური როლი რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
2. უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების მქონე, მაღალი ხარისხის, აკადემიური და დასაქმებაზე ორიენტირებული;
3. უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებულ ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის;
4. საუნივერსიტეტო პროცესების ინტერნაციონალიზაცია უნდა მოიცავდეს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებს;
5. დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მკვლევარს შორის ურთიერთობა უნდა მოიცავდეს ურთიერთმხარდაჭერას, ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას;
6. როგორც აკადემიურ, ისე სხვა სფეროებში უნივერსიტეტს უნდა ჰყავდეს სტრატეგიულად პარტნიორი ორგანიზაციები;
7. სწავლის, სწავლების, კვლევებისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად უნდა ვითარდებოდეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
8. აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესები უნდა იყოს ორგანიზებული და ეფექტურად მართული.

კონკრეტულად წარმოგიდგინთ თითოეული მიზნის მისაღწევად დასახულ გადაჭრის გზებსა და ტაქტიკურ სქემებს:

მიზანი 1. უნივერსიტეტმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი სოციალური როლი რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

გადაჭრის გზები:

- 1.1. საზოგადოებაში უნდა გავზარდოთ უნივერსიტეტისადმი, როგორც განათლებისა და მეცნიერების ცენტრისადმი ნდობა;
- 1.2. უნივერსიტეტი აქტიურად უნდა ჩაერთოს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ, ინსტიტუციურ და ეროვნულ პროცესებში;
- 1.3. უნივერსიტეტი უნდა ვაქციოთ ქველმოქმედების მხარდამჭერად და განმახორციელებლად;
- 1.4. უნივერსიტეტმა საზოგადოებაში უნდა დაამკვიდროს აკადემიური და სამოქალაქო ღირებულებები;
- 1.5. უნივერსიტეტმა უნდა აღმოაჩინოს, წარმოაჩინოს და წინსვლაში დაეხმაროს ლიდერებს, რომელთაც შესწევთ უნარი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში;
- 1.6. უნივერსიტეტი ღია უნდა გახდეს პარტნიორობის, დიალოგისა და თანამშრომლობისთვის;
- 1.7. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, პრეს სამსახური, გაზეთი, სტუდია და გამომცემლობა უნდა წარმოადგენდეს აქტიურ საზოგადოებრივ ინსტრუმენტს.

ტაქტიკური სქემები:

1.1. საზოგადოებაში უნდა გავზარდოთ უნივერსიტეტისადმი, როგორც განათლებისა და მეცნიერების ცენტრისადმი ნდობა;

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	პროექტი „რა მომცა უნივერსიტეტმა“ - უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პრომოუშენი უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და მასმედიის გამოყენებით.	✓	✓	✓	✓	✓	დარგობრივი დეპარტამენტი, კვლევით ინსტიტუტები, სტუდენტთა მომსახურების სამსახური, სტუდენტური თვითმმართველობა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	მიზნობრივი აუდიტორიის გამოკითხვამ უნდა გვიჩვენოს ყოველწლიურად უნივერსიტეტის მიმართ კეთილგანწყობის 5-7 % ზრდა გამოკითხვას განახორცილებს პრეს-სამსახურთან ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის სამსახური.
2	პროექტი „აღმოაჩინე უნივერსიტეტი“ - უნივერსიტეტის ფარგლებში მკვლევართა და სტუდენტთა მიერ გაკეთებული სამეცნიერო მიღწევების პრომოუშენი უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და მასმედიის გამოყენებით.	✓	✓	✓	✓	✓		
3	პროექტი „საინტერესო უნივერსიტეტი“ - უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი კულტურის და სპორტის წრეების პრომოუშენი უნივერსიტეტის ვებ-გვერდის და მასმედიის გამოყენებით.	✓	✓	✓	✓	✓		
4	პროექტი „როგორ ასწავლიან უნივერსიტეტში“ - უნივერსიტეტის პროფესორების მიერ შემუშავებული და გამოყენებული სწავლების მეთოდების პრომოუშენი უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და მასმედიის გამოყენებით.	✓	✓	✓	✓	✓		

1.2. უნივერსიტეტი აქტიურად უნდა ჩაერთოს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ, ინსტიტუციურ და ეროვნულ პროცესებში:

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„რეფორმებში ჩართულობა“ - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობა სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის მიერ განხორციელებულ რეფორმებში ექსპერტიზისა და კონსულტირების სახით.	✓	✓	✓	✓	✓	სასწავლო დეპარტამენტები, კვლევით ინსტიტუტები, სტუდენტურ თვითმმართველობა, საზოგადოებრივი აზრის სამსახურის ჩართულობით	შეგროვებული ინფორმაცია საჯარო რეფორმებში, მასმედიაში გამართულ დისკუსიაში, პროექტებში, შეხვედრებზე, კონფერენციებსა და ფორუმებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის შესახებ ყოველწლიურად უნდა აჩვენებდეს მინიმუმ 3-5% ზრდას.
2	„უნივერსიტეტის აზრი“ - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობა აქტუალურ საკითხებზე წარმართულ საზოგადოებრივ პოლემიკაში.	✓	✓	✓	✓	✓		
3	„სტუდენტის ჩართულობა“ - უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობა საჯარო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში ინტერვიუების, მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირებისა და სხვა პოზიციებზე.	✓	✓	✓	✓	✓		
4	„გლობალურ ფორუმებში ჩართულობა“ - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობა გლობალური პრობლემებისადმი მიძღვნილ ფორუმებში მნიშვნელოვან საერთაშორისო და გლობალურ პორბლემეტიკაზე ექსპერტების სახით.	✓	✓	✓	✓	✓		

1.3. უნივერსიტეტი უნდა ვაქციოთ ქველმოქმედების მხარდამჭერად და განმახორციელებლად;

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	პროექტი „მეურვეობა“ - სოციალურად დაუცველი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ პირთათვის თავშესაფარის შერჩევა, მეურვეობა ფულადი, მატერიალური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური დახარებით, როგორც უნივერსიტეტის, ასევე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მხრიდან.		✓	✓	✓	✓		
2	პროექტი „ქველმოქმედი უნივერსიტეტის“ ფარგლებში საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა სტუნეტთა მხარდაჭერისა და განვითარების ფონდის მეშვეობით.		✓	✓	✓	✓	განხორციელებული პროექტების მინიტორინგი უნდა განახორციელოს საზოგადოებრივი აზრის სამსახურმა, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტმა, სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებმა სტუდენტურმა თვითმმართველობამ, უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურმა.	განხორციელებულმა აქტივობებმა უნდა განაპირობონ უნივერსიტეტისადმი კეთილგანწყობის თანმიმდევრული ზრდა.
3	პროექტი „დაეხმარე შშმპ“ - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება მატერიალური, ფსიქოლოგიური და პროფესიული ტრენინგების მეშვეობით, როგორც ოფიციალურად უნივერსიტეტის, ისე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მხრიდან.	✓	✓	✓	✓	✓		
4	პროექტი „დაეხმარე სოფელს“ - დაბალი შემოსავლების მქონე სოფლის ოჯახისთვის დახმარების გაწევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელებაში, აგრარული ტექნოლოგიების გამოყენებაში და სხვა მიმართულებებით როგორც უნივერსიტეტის, ასევე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მხრიდან.	✓	✓	✓	✓	✓		

1.4. უნივერსიტეტმა საზოგადოებაში უნდა დაამკვიდროს აკადემიური და სამოქალაქო ღირებულებები:

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„არა-პლაგიატს“ -საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო შრომებში პლაგიატის შემთხვევების გამოვლენისა და პლაგიატის დონის განსაზღვრის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის „ანტიპლაგი“ ამუშავება, რომელიც მოგვემშავეს საშუალებას დადგინდეს პლაგიატის პროცენტულობა.		✓	✓	✓	✓	უნივერსიტეტის ხარისხის	
2	პროექტი „გავზარდოთ წიგნიერების დონე“ - უნივერსიტეტი სათავეში ჩაუდგება საზოგადოებრივ კამპანიას ქალაქსა და რეგიონში წიგნიერების დონის ამაღლებასთან დაკავშირებით.		✓	✓	✓	✓	უზრუნველყოფის სამსახური, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და	მიზნობრივი აუდიტორიის გამოკითხვამ ყოველწლიური ზრდა უნდა დააფიქსიროს
3	პროექტი „დაცული მოსწავლე და სტუდენტი“ - უნივერსიტეტი სათავეში ჩაუდგება კამპანიას მოსწავლეებისა და სტუდენტების უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც უფლებადაცვით საქმიანობას და შესაბამისი ჯგუფების ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს.	✓	✓	✓	✓	✓	სამართალმცოდნეობის ფაკულტეტები, სტუდენტურ თვითმმართველობა, სტუდენტთა მომსახურეობის	გამოკითხვის პროცესი საზოგადოებრივი აზრის სამსახურმა უნდა განახორციელოს
4	პროექტი „დაცული მასწავლებელი და ლექტორი“ - უნივერსიტეტი სათავეში ჩაუდგება კამპანიას ქვეყნის მასშტაბით მასწავლებლებისა და ლექტორების უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც უფლებადაცვით საქმიანობას და შესაბამისი ჯგუფების ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს.		✓	✓	✓	✓	სამსახური.	

1.5. უნივერსიტეტი აღმოაჩენს, წარმოაჩენს და წინსვლაში ეხმარება ლიდერებს, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საზოგადოების განვითარებაში.

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	პროექტი „ლიდერი“ - უნივერსიტეტში ლიდერის თვისებებით გამორჩეული სტუდენტების აღმოჩენა და სხვადასხვა მიმართულებით (ბიზნესი, პოლიტიკა, კულტურა, მეცნიერება), მათი უნარ-ჩვევების განვითარება და შემდგომი პრომოუშენი როგორც უნივერსიტეტის შეგნით, ისე მის გარეთ.	✓	✓	✓	✓	✓	კარიერული განვითარების ცენტრი, სასწავლო დეპარტამენტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სტუდენტთა მომსახურების სამსახური, იურიდიულ სამსახური, სტუდენტურ თვითმმართველობა	შეკრებილმა ინფორმაციამ სტუდენტებისა და ლექტორების საზოგადოებრივი აქტიურობის, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების საჯარო, არასამთავრობო და ბიზნეს-სექტორებში უნდა მოგვცეს 2-3% ზრდა მონაცემთა შეკრებზე პასუხისმგებელი იქნება საზოგადოებრივი აზრის სამსახური და კარიერული განვითარების ცენტრი.
2	პროექტი „საზოგადო მოღვაწე“ - არაპოლიტიკური ლიდერების, მნიშვნელოვანი სოციალური და კულტურული აქტიურობით დაკავებული ბიზნეს, საზოგადოებრივი და კულტურის ლიდერების, მხარდაჭერა, მათთან პარტნიორობა და პრომოუშენი.	✓	✓	✓	✓	✓		
3	პროექტი „შეცვალე საზოგადოება“ - უნივერსიტეტი წახალისებს პროექტებს, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს და ლექტორებს ისეთი განახორციელონ აქტივობები, როგორებიცაა კანონპროექტის ინიცირება, ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე რეაგირება და მათში მონაწილეობა და ა.შ.	✓	✓	✓	✓	✓		
4	პროექტი „ითანამშრომლე“ - უნივერსიტეტი წახალისებს სტუდენტურ და აკადემიური კონსორციუმების შექმნას, რომელიც დაეხმარება ლიდერებს განავითარონ საზოგადოებრივი აქტიურობა ქვეყანასა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ.	✓	✓	✓	✓	✓		

1.6. უნივერსიტეტი ღია უნდა გახდეს პარტნიორობის, დიალოგისა და თანამშრომლობისთვის:

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„სოციალური პარტნიორობა“ ამლევს საშუალებას სხვადასხვა სოციალურ ორგანიზაციებს აქტივობებისათვის გამოიყენონ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა. ამასთანავე ამ მიმართულებით უნივერსიტეტი თავად ჩაერთვება გაერთიანებებში, კავშირებსა და ორგანიზაციებში როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო დონეზე.	✓	✓	✓	✓	✓		
2	„ეკო პარტნიორობა“ - უნივერსიტეტი ჩაერთვება სხვადასხვა ეკოლოგიური ხასიათის გაერთიანებებში, კავშირებსა და ორგანიზაციებში როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო დონეზე და თავის ინფრასტრუქტურას შესთავაზებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად	✓	✓	✓	✓	✓	შესაბამისი ფაკულტეტები, კვლევითი ინსტიტუტები, სტუდენტთა მომსახურების სამსახური, სტუდენტური თვითმმართველობა.	საზოგადოებრივი აზრის კვლევის სამსახურის მიერ შგროვებულმა მონაცემებმა უნდა დააფიქსირონ უნივერსიტეტის ჩართულობის პერმანენტული ზრდა წლების მიხედვით.
3	„ბიზნეს-პარტნიორობა“ - უნივერსიტეტი გაერთიანდება სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის გაერთიანებებში, კავშირებსა და ორგანიზაციებში როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო დონეზე და საკუთარ პოტენციალსა და ინფრასტრუქტურას შესთავაზებს სხვადასხვა არაკომერციული პროექტების განხორციელებაში	✓	✓	✓	✓	✓		
4	„დიალოგი“ - უნივერსიტეტი საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს გამოიყენონ მისი ინფრასტრუქტურა და აკადემიური პოტენციალი საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ გამართულ დიალოგებსა და დებატებში.	✓	✓	✓	✓	✓		

1.7. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, პრეს სამსახური, გაზეთი, სტუდია და გამომცემლობა უნდა წარმოადგენდეს აქტიურ საზოგადოებრივ ინსტრუმენტს.

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	აქტიური ვებ-გვერდი - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი სტუდენტს, აკადემიურ პერსონალს და ადმინისტრაციას შორის აქტიურ საკომუნიკაციო საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. სიახლეების პარალელურად უნდა ჩამოყალიბდეს აქტიური ფორუმი, რითაც გაადვილდება მოსაზრებებისა და შეხედულებების გაცვლა.	✓	✓	✓	✓	✓	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, პრესამსახური, უნივერსიტეტის გამომცემლობა და გაზეთი, მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტთა მომსახურების სამსახური, საზოგადოებრივი აზრის სამსახური.	საზოგადოებრივი აზრის სამსახურის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ უნდა აჩვენოს უნივერსიტეტის საკომუნიკაციო საშუალებათა მიერ მუდმივად მზარდი აუდიტორიის მოცვა.
2	უნივერსიტეტის გაზეთი - გაზეთის ფუნქციები უნდა გასცდეს უნივერსიტეტის ფარგლებს და იგი უნდა წარმოადგენდეს უნივერსიტეტის სახესა და პოზიციას როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.		✓	✓	✓	✓		
3	უნივერსიტეტის გამომცემლობა თავისი საქმიანობით უნდა გასცდეს უნივერსიტეტის ფარგლებს და სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის გამოცემის მნიშვნელოვან ცენტრად უნდა იქცეს.		✓	✓	✓	✓		
4	უნივერსიტეტის რადიომ და ტელევიზიამ უნდა შეძლოს როგორც სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, გრძელვადიან პერსპექტივაში გარკვეული ადგილი უნდა დაიჭიროს რეგიონულ საინფორმაციო სივრცეში.		✓	✓	✓	✓		

მიზანი 2. უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების მქონე, მაღალი ხარისხის, აკადემიური და დასაქმებაზე ორიენტირებული.

გადაჭრის გზები:

- 2.1. თანამედროვე ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, აკადემიურად აქტიური პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვა;
- 2.2. შრომის ბაზრის კვლევის გამართული სისტემის შექმნა;
- 2.3. ფუნდამენტური დარგების შენარჩუნება და გაძლიერება;
- 2.4. ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის წარმატებით გავლა;
- 2.5. ორგანიზებული და შედეგზე ორიენტირებული ლექციის, ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული, ლაბორატორიული, კონსულტაციებისა და სხვა სასწავლო აქტივებების ორგანიზება;
- 2.6. საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლება.

2.1. თანამედროვე ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, აკადემიურად აქტიური პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვა:

	ქვემოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„აქტიური პროფესორ-მასწავლებელი“ - აკადემიური პირები და მოწვეული მასწავლებლები, ასევე მკვლევრები სისტემატურად უნდა ეცნობოდნენ დარგში არსებულ სიახლეებს და მიღწევებს. ყოველკვირეულ სემინარზე დეპარტამენტებში ამ სიახლეების ურთიერთგაცვლა უნდა ხდებოდეს.	✓	✓	✓	✓	✓		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტთა გამოკითხვა უნდა აჩვენებდეს
2	„გამდიდრებული სილაბუსები“ - პედაგოგი პერმანენტულად უნდა ამდიდრებდეს სილაბუსს როგორც შინაარსობრივად, ასევე ახალი ლიტერატურით, მეთოდებით და ა.შ.	✓	✓	✓	✓	✓	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო დეპარტამენტი,	ყოველწლიურად 5-7 % ზრდას, სილაბუსების მონიტორინგი უნდა აჩვენებდეს
3	„უკეთესი ლექტორი და მკვლევარი“ - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს პედაგოგთა სასწავლო და კვლევითი უნარების დონის ზრდას მეთოდური ტრენინგების საშუაებით, რომელსაც შიდა ან მოწვეული ტრენერები განახორციელებენ.		✓	✓	✓	✓	ფაკულტეტები, კვლევით ინსტიტუტები, საფინანსო სამსახური	სილაბუსების მინიმუმ 15%-ის ცვლილებას, ფაკულტეტებზე უნდა ტარდებოდეს მინიმუმ წელიწადში თითო ტრენინგი სწავლების მეთოდიკასა და
4	„ლექტორი-კონსულტანტი“ - უნივერსიტეტის ლექტორს უნდა გააჩნდეს კონტაქტი სტუდენტებთან არა მარტო საკონტაქტო საათების ფარგლებში. სტუდენტთან კონტაქტი მიღწეულ უნდა იქნას კონსულტაციების, სხვადასხვა სახის სამეცნიერო და კულტურულ წრეებში მხარეების ჩართულობით.	✓	✓	✓	✓	✓		კვლევის მეთოდებზე. კვლევა ლექტორთა ჩართულობის მინიმუმ 5% ზრდას უნდა აჩვენებდეს.

2.2. შრომის ბაზრის კვლევის გამართული სისტემის შექმნა

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„გამოიკვლიე ბაზარი“ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის შემუშავებით და განვითარებით დაკავებულ პირებს ჩაუტარდებათ ტრენინგი ბაზრის კვლევის თანამედროვე მეთოდებზე.	✓	✓	✓	✓	✓		კარიერული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული დამსაქმებელთა გამოკითხვიდან უნდა ჩანდეს, რომ პროცენტულად იზრდებოდა საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების დადებითად იციენტი შეფასების კოეფ ისინი წლიურად 5-7 % უფრო დადებითად აფასებენ წინა წელთან შედარებით.
2	„ადმოჩინე ბაზარი“ - უნივერსიტეტის კარიერული განვითარების ცენტრი განახორციელებს დასაქმების ბაზარზე ახალი მოთხოვნების კვლევას, რაც შეიძლება გახდეს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის საფუძველი.		✓	✓	✓	✓	კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც სავარაუდოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ბაზაზე შეიქმნება	გამოკითხვა კარიერული განვითარების ცენტრმა უნდა ჩაატაროს.
3	„განავითარე კურიკულუმი“ - საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე პერსონალმა პერიოდულად განხორციელებული ბაზრის კვლევის საფუძველზე უნდა განახორციელოს კურიკულუმის ცვლილება.	✓	✓	✓	✓	✓		
4	„კურსდამთავრებულის დასაქმების ანალიზი“ - კარიერული განვითარების ცენტრმა უნდა განახორციელოს კურსდამთავრებულთა დასაქმების დონის ანალიზი და დაადგინოს შესაბამისობა კურსდამთავრებულსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის, არის თუ არა დასაქმებული სპეციალობით და ა.შ		✓	✓	✓	✓		

2.3. ფუნდამენტური დარგების შენარჩუნება და გაძლიერება.

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1 პროექტი „პერსპექტივა“ - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს ფუნდამენტური საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს შეძენილი უნარების ეფექტურად გამოყენებას მეცნიერული კარიერაში, საინტერესო ბიზნესპროექტების შემუშავებაში და ა.შ.		✓	✓	✓	✓		
2 პროექტი „თანამედროვე ინფრასტრუქტურა“ - უნივერსიტეტი იზრუნებს ფუნდამენტური დარგებისთვის ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნაზე, რაც ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით სტუდენტებისა და მკვლევარების მომზადებას არა მარტო საქართველოს მასშტაბით.		✓	✓	✓	✓	კარიერული განვითარების ცენტრი, შესაბამისი ფაკულტეტები, და	დარგობრივი დეპარტამენტების მიერ შეგროვილი საუნივერსიტეტო სტატისტიკა უნდა აჩვენებდეს
3 „საზოგადოების ინფორმირების“ ფარგლებში უნივერსიტეტი გასწევს აქტიურ სარეკლამო კამპანიას ფუნდამენტური დარგების მნიშვნელობაზე, ხელს შეუწყობს ამ დარგის სპეციალისტთა სტატუსის ამაღლებას საზოგადოებაში.		✓	✓	✓	✓	კვლევითი ინსტიტუტები, პრესცენტრი	ფუნდამენტურ დარგებზე მოთხოვნის ყოველწლიურ ზრდას მინიმუმ 10 %-ით.
4 პროექტი „მნათობის“ ფარგლებში უნივერსიტეტი მოიწვევს როგორც ერთჯერადი ლექციების წასაკითხად, ისე საგანმანათლებლო მოდულების წასაყვანად ფუნდამენტური დარგების გამორჩეულ მეცნიერებსა და პედაგოგებს როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან, რითაც ამ სფეროში გაზრდის პროგრამების სტატუსს.		✓	✓	✓	✓		

2.4. ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის წარმატებით გავლა

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„წარმატებული ავტორიზაცია“ - უნივერსიტეტი წარმატებით უნდა გაიაროს ავტორიზაციის პროცესი.			✓			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო დეპარტამენტი, ფაკულტეტები, დარგობრივი დეპარტამენტები	ავტორიზაციის პროცესი წარმატებით განხორციელდება, პრობლემური პროგრამების რაოდენობა ნულამდე დაიყვანება. ტრენინგები დაფარავს ინტერესთა ყველა სეგმენტს. თანმიმდევრულ ინფორმაციას აგროვებს და წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2	„წარმატებული აკრედიტაცია“ - უნივერსიტეტი წარმატებით უნდა გაიაროს პროგრამული აკრედიტაცია.			✓				
3	„გარე შეფასების ამოქმედება“ - აკრედიტაციაზე წარდგენილმა ყველა პროგრამამ უნდა გაიაროს გარე ანონიმური შეფასება.		✓	✓				
4	„ავტორიზაციის და აკრედიტაციის ტრენინგი“- უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოს ექსპერტების მოწვევა და ტრენინგი შესაბამისი პირებისთვის აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებით.		✓	✓				

შენიშვნა: ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულების პროცესსა და მექანიზმებზე კონკრეტულ ხედვა ჩამოყალიბდება სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შემუშავების შემდეგ.

2.5. ორგანიზებული და შედეგზე ორიენტირებული ლექციის, ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული, ლაბორატორიული, კონსულტაციებისა და სხვა სასწავლო აქტივების ორგანიზება;

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1 „ეფექტური მეთოდები“ - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულად დააკვირდება ლექციას, ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ, ლაბორატორიულ მეცადინეობებსა და კონსულტაციას, აგრეთვე სწავლისა და სწავლების პროცესს, რათა გამოკვეთოს სწავლებისა და შეფასების საუკეთესო მეთოდები და მოახდინოს მათი იმპლემენტაცია უნივერსიტეტის მასშტაბით.	√	√	√	√	√		
2 „შედეგზე ორიენტირებული სწავლება“- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გააკონტროლებს, თუ რამდენად უზრუნველყოფს სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროგრამით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების მიღწევას.	√	√	√	√	√	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების ადმინისტრაცია, დარგობრივი დეპარტამენტები, სასწავლო დეპარტამენტი	სტუდენტების და ლექტორების გამოკითხვა უნდა აჩვენებდეს სწავლების და სწავლის ორგანიზების პროცესით კმაყოფილების ყოველწლიურ ზრდას მინიმუმ 10%.
3 „ორგანიზებული სასწავლო პროცესი“ - სტუდენტებთან მუშაობის აღრიცხვის მყარ სისტემასთან ერთად უნივერსიტეტი თანდათან შეეცდება სწავლების და სტუდენტთან კონტაქტი გახადოს სტანდარტებისგან თავისუფალი, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს ცალკეული საგნების სილაბუსებში.		√	√	√	√		
4 „თანამშრომლობა“ - უნივერსიტეტი წახალისებს პროფესორ-მასწავლებელთა ნებისმიერ აქტივობას, რომელიც ხელს შეუწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებასა და სწავლების ეფექტურობას გაზრდის.	√	√	√	√	√		

ამოცანა 2.6. საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლება

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„შედეგობრივად განახლებული პროგრამა“ - ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამები მუდმივად უნდა განახლდეს	✓	✓	✓	✓	✓	კარიერული განვითარების ცენტრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დარგობრივი დეპარტამენტები, კვლევით ინსტიტუტები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია	განხორციელებული ნაბიჯების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიურმა მონიტორინგმა უნდა აჩვენოს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მინიმუმ 10%-იანი ცვლილება. მონიტორინგი განხორციელდება წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების მეშვეობით.
2	„შინაარსობრივად განახლებული პროგრამა“ - კონკრეტულ სფეროებში არსებული უახლესი სამეცნიერო მიღწევებიდან გამომდინარე მუდმივად უნდა განახლდეს საგანმანათლებლო პროგრამები	✓	✓	✓	✓	✓		
3	„მეთოდურად განახლებული პროგრამა“ - საგანმანათლებლო პროგრამები მუდმივად უნდა განახლდეს თანამედროვე საგანმანათლებლო სფეროში არსებული უახლესი მეთოდებით.	✓	✓	✓	✓	✓		
4	„მატერიალურად განახლებული პროგრამა“ - ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის უნდა განახლდეს და ტექნიკით აღიჭურვოს სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები. რეაბილიტირებული უნდა იქნას ყველა ლაბორატორია, სასწავლო, საცდელი და საკვლევო ფართობები, კლინიკები, სასათბურე მეურნეობები, მოდელირებული, საიმიტაციო და სასიმულაციო დარბაზები.	✓	✓	✓	✓	✓		

მიზანი 3. უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის.

გადაჭრის გზები:

- 3.1. შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება;
- 3.2. საუნივერსიტეტო სამეცნიერო მუშაობის საზღვრების გაფართოება;
- 3.3. უნივერსიტეტი ფართოდ უნდა ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში და იყოს ამგვარი დისკუსიის ორგანიზატორი;
- 3.4. უნივერსიტეტის კვლევითი სიმძლავრეები უნდა იზრდებოდეს პერმანენტულად.

3.1. შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„შიდა საუნივერსიტეტო გრანტი“ - უნივერსიტეტის გრანტის გაცემის წესის დებულების სრულყოფა, რომელიც უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს გრანტის შერჩევის პროცედურას, მოცულობას და დაფინანსებული კვლევის შეფასების მექანიზმებს. გრანტი კონკურსის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის პრინციპების საფუძველზე გაიცემა.		✓				აკადემიური საბჭო, გამომცემლობა, ფაკულტეტები, დარგობრივი დეპარტამენტები კვლევითი ინსტიტუტები	გაცემული გრანტების ფინანსური მოცულობა წელიწადში მინიმუმ 20%-ით უნდა გაიზარდოს. ჩამოყალიბდება და გამოიცემა მინიმუმ ერთი მაღალრეიტინგული ჟურნალი. კვლევამ უნდა აჩვენოს ჯგუფების ინტერესის მინიმუმ 3-5%-ით სამეცნიერო თემატიკის მიმართ ზრდა. აგრეთვე 1-3% გაიზარდოს სილაბუსებში შიდა კვლევის შედეგების ასახვა.
2	„მაღალრეიტინგული ჟურნალი“ - უნივერსიტეტი მხარს დაუჭერს მინიმუმ ერთი ჟურნალის გამოცემასა და პრომოუშენს, ჩამოაყალიბებს ავტორიტეტულ სარედაქციო კოლეგიას, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტამბაში გამოცემას.	✓	✓					
3	„აქტუალური და რელევანტური სამეცნიერო თემატიკა“ - სამეცნიერო კვლევის თემატიკა ჩამოყალიბდება ინტერესთა ჯგუფების ჩართულობით როგორც კვლევით ინსტიტუტებში, ისე სასწავლო დეპარტამენტებში (მიმართულების მიხედვით კოლეგები, პროფესიონალური ჯგუფები და ბიზნეს-წრეები)	✓	✓	✓	✓	✓	შედეგების მონიტორინგს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	
4	„კვლევაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება“ - კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან კვლევითი კომპონენტის შესრულებაში სილაბუსების შედგენასა და განხორციელებაში, თავის მხრივ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ჩაერთვება კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების მუშაობაში.	✓	✓	✓	✓	✓		

3.2. საუნივერსიტეტო სამეცნიერო მუშაობის საზღვრების გაფართოება

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	პროექტი „კავშირი ბიზნესთან“ - უნივერსიტეტი დაეხმარება სამეცნიერო-კვლევითი შედეგებით ბიზნეს-სექტორის დაინტერესებას. ასევე ხელს შეუწყობს განავითაროს ისეთი სამეცნიერო სფეროები, რომლითაც დაინტერესდება ბიზნეს-სექტორი.		✓	✓	✓	✓	ადმინისტრაცია, საფინანსო სამსახურის ბაზაზე შექმნილი ფანდრაიზინგის ოფისი, სგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახური, კვლევითი ინსტიტუტები, ფაკულტეტები	მიღწეული იქნება შეკვეთები ბიზნეს-სექტორისგან; სხვადასხვა სახის კვლევით სამუშაოებზე შეიქმნება მინიმუმ 12-15 ერთობლივი სამეცნიერო ჯგუფი ან კონსორციუმი; განხორციელდება მინიმუმ 25-30 ერთობლივი პროექტი „ტრიადას“ ფარგლებში; ჩაუტარდება ტრენინგი ფანდრაიზინგში მინიმუმ 30-40 დაინტერესებულ პირს, ინფორმაცია გრანტების შესახებ გამუდმებით იქნება მიწოდებული დაინტერესებული პირებისთვის
2	პროექტი „კავშირი სხვა მეცნიერებთან“ - უნივერსიტეტი წახალისებს სხვა უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების წარმადგენლებთან ერთობლივ სამეცნიერო მუშაობას, კონსორციუმებს და ა.შ.		✓	✓	✓	✓		
3	პროექტი „ტრიადა“ - გულისხმობს უნივერსიტეტის მკვლევართა, აკადემიური პირებისა და სტუდენტების ჩართულობას კვლევითი კომპონენტის და კვლევითი პროექტის ფარგლებში. საფუძველი მიღწეული იქნება შესაბამისი ნორმატიული ცვლილებებით საგანმანათლებლო პროგრამების და კვლევითი მუშაობის განხორციელების წესებში.	✓	✓	✓	✓	✓		
4	პროექტი „გარე გრანტები“ - უნივერსიტეტი ინფორმაციით და ტრენინგებით წახალისებს აკადემიური და კვლევითი პერსონალის, მასწავლებლების მონაწილეობას ქართულ და უცხოურ გრანტებში.		✓	✓	✓	✓		

3.3. უნივერსიტეტი ფართოდ უნდა ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში და იყოს ამგვარი დისკუსიის ორგანიზატორი

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1 „კონფერენციებში მონაწილეობა“ - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს აკადემიური და კვლევითი პერსონალის, ასევე სტუდენტების მონაწილეობას სხვადასხვა სახის ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.	✓	✓	✓	✓	✓	ფაკულტეტები, დარგობრივი დეპარტამენტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	მონიტორინგი დაადასტურებს სხვადასხვა ფორუმის ორგანიზებისა და მათში მონაწილეობის შედეგად, ყოველწლიურად მინიმუმ 5%-ით გაიზრდება ერთობლივი სამეცნიერო პროექტების, სტუდენტთა მეცნიერებით დაინტერესების, უნივერსიტეტის, როგორც სამეცნიერო ცენტრის აღიარების ხარისხი.
2 „კონფერენციის ორგანიზება“ - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს და ინიცირებს გაუწევს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას.		✓	✓	✓	✓		
3 „ინტერნეტ-ფორუმი“ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე შეიქმნება სამეცნიერო ფორუმი, რომლის მონაწილეებიც აქტიურად ჩაერთვებიან აქტუალური სამეცნიერო თემატიკის განხილვაში.		✓	✓	✓	✓		
4 „საჯარო ლექციები“ (პროექტ „მნათობის“ გაფართოება) - უნივერსიტეტი მოიწვევს ცნობილ მეცნიერებს ნებისმიერი მიმართლებით აქტუალურ საკითხებზე საჯარო ლექციების წასაკითხად და დისკუსიისთვის.	✓	✓	✓	✓	✓		

3.4. უნივერსიტეტის კვლევითი სიმპლავრები უნდა იზრდებოდეს პერმანენტულად.

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„მატერიალურ-ტექნიკური განვითარება“ - უნივერსიტეტი გამუდმებით განავითარებს როგორც კვლევითი ინსტიტუტების, ისე სასწავლო დეპარტამენტების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რაც მოიცავს სხვადასხვა ხელსაწყოებისა და დანადგარების, მასალების, ლიტერატურის, ინსტრუმენტებისა და ინვენტარის შეძენას.	✓	✓	✓	✓	✓	ადმინისტრაცია, დარგობრივი დეპარტამენტები, კვლევითი ინსტიტუტები, აკადემიური წარმომადგენლობითი საბჭოები, ფაკულტეტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ყოველწლიურად უნივერსიტეტის ტექნოლოგიური სიმპლავრები ფინანსური მაჩვენებლით მინიმუმ 5%-ით გაიზრდებოდა; მინიმუმ 5%-ით გაიზრდება კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგებში ჩართული პერსონალის რაოდენობა, მინიმუმ ერთი გარე გრანტი უნდა გაიცეს წლიურად, ასევე ყოველწლიურად ჩატარდება მინიმუმ ერთი კონკურსი გამოგონებების მიმართულებით.
2	„კვალიფიკაციის ამაღლება“ - უნივერსიტეტი გამუდმებით იზრუნებს აკადემიური და კვლევითი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შეუწყობს ხელს მათ მონაწილეობას სხვადასხვა სახის ტრენინგებში, ასევე ამგვარი ტრენინგების ორგანიზებას უნივერსიტეტში.	✓	✓	✓	✓	✓		
3	„ტვინების მოძინება“ - უნივერსიტეტი შიდა გრანტის პარალელურად განახორციელებს გარე გრანტის პროგრამას, რომლის ფარგლებში დაფინანსდება მეცნიერების თანამედროვე კვლევებს სხვა უნივერსიტეტებიდან და ცენტრებიდან, რომელიც მათ შეუძლიათ განახორციელონ ჩვენს უნივერსიტეტში.			✓	✓	✓		
4	„გამოგონებათა კლუბი“ - უნივერსიტეტი შეეცდება მოძებნოს მეცნიერული ნიჭის მქონე ადამიანები სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებში, რისთვისაც უზრუნველყოფს გამოგონებელთა კლუბისა და გამოგონებათა კონკურსის ორგანიზებას.			✓	✓	✓		

მიზანი 4. საუნივერსიტეტო პროცესების ინტერნაციონალიზაცია უნდა მოიცავდეს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებს;

გადაჭრის გზები:

- 4.1. გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევარებისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა;
- 4.2. კურიკულუმების ინტერნაციონალიზაცია;
- 4.3. უცხოენოვან ლიტერატურასთან მუშაობა;
- 4.4. უცხოურ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა.

4.1. გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევარებისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1 „პროფესორის გაცვლა“ - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს კონკურსის საფუძველზე შერჩეული აკადემიური პირების მივლინებას პარტნიორ უნივერსიტეტებში; მასპინძლობას გაუწევს უცხოელ ლექტორებს, როგორც დონორების დაფინანსებული პროგრამების, ისე საკუთარივე უნივერსიტეტებს შორის არსებული შეთანხმების ფარგლებში.	✓	✓	✓	✓	✓	საგარეო ურთიერთობათა სტრატეგიული განვითარების სამსახური,	ყოველწლიურად გაცვლით პროგრამებში ჩართული ინტერესთ: ჯგუფების წარმომადგენელთა ოდენობა დაახლოებით 3-5%-ით გაიზრდება. პროექტის მონაწილეთა ანგარიშვალდებულება და პროექტის შედეგებიდან მიღებული იმპლემენტაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი გაიზრდება
2 „სტუდენტის გაცვლა“- უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალე პროცესის პირობებში შერჩეული სტუდენტების მივლინებას საგანმანათლებლო კომპონენტის ასათავისებლად პარტნიორ უნივერსიტეტებში; მასპინძლობას გაუწევს უცხოელ სტუდენტებს, როგორც დონორების დაფინანსებული პროგრამების, ისე საკუთარივე უნივერსიტეტებს შორის არსებული შეთანხმების ფარგლებში.	✓	✓	✓	✓	✓	ადმინისტრაცია, ფაკულტეტები, კვლევით ინსტიტუტები, სტუდენტთა მომსახურების სამსახური.	და პროექტის შედეგებიდან მიღებული იმპლემენტაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი გაიზრდება
3 „მკვლევართა გაცვლა“ - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს მეცნიერთანამშრომელთა მივლინებას კვლევის ჩასატარებლად პარტნიორ უნივერსიტეტებში, მასპინძლობას გაუწევს უცხოელ მკვლევარებს, როგორც დონორების დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში, ისე საკუთარივე უნივერსიტეტებს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე.	✓	✓	✓	✓	✓	ინფორმაციას შედეგების შესახებ შეაგროვებს, გაანალიზებს და წარმოადგენს საგარეო ურთიერთობათა სამსახური.	და პროექტის შედეგებიდან მიღებული იმპლემენტაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი გაიზრდება
„ადმინისტრაციული გაცვლები“ - გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით განხორციელდება ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა მივლინება პარტნიორ უნივერსიტეტებში.		✓	✓	✓	✓		
პროექტების გამართულად შედგენისა და განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ექსპერტების მოწვევას და ტრენინგების ჩატარებას		✓	✓			ადმინისტრაცია	გაიზრდება გამარჯვებული პროექტების მაჩვენებელი

ამოცანა 4.2. კურიკულუმების ინტერნაციონალიზაცია

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები“ - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებას.			✓	✓	✓	საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახური,	განხორციელდება მინიმუმ ერთი ერთობლივი პროგრამა ფაკულტეტზე, განხორციელებულდება დამატებით კიდევ ერთი პროგრამა ინგლისურ ენაზე, სასწავლო კურსების საერთო რაოდენობაში
2	„საგანმანათლებლო პროგრამები უცხო ენაზე“ - უნივერსიტეტის ხელს შეუწყობს უცხო ენაზე საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებას.			✓	✓	✓	ფაკულტეტები, დარგობრივი დეპარტამენტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.	უცხოენოვანი კურსების 15%-მდე გაიზრდება, გაცვლითი კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში უნივერსიტეტის
3	„უცხოენოვანი სასწავლო კურსები“ - ეტაპობრივად გაიზრდება უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში უცხო ენაზე მომზედებული სასწავლო კურსების რაოდენობა.	✓	✓	✓	✓	✓	ინფორმაციას შედეგების შესახებ შეაგროვებს, გააანალიზებს და წარმოადგენს საგარეო ურთიერთობათა სამსახური.	სტუდენტების ოდენობა 3-5%-ით გაიზრდება, გაცვლითი კომპონენტის განხორციელებაში უნივერსიტეტის
4	„საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები გაცვლითი პროგრამების ფარგლებში“ - უნივერსიტეტი წახალისებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კვლევითი კომპონენტების განხორციელებას ჩვენი სტუდენტებისთვის უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებში და უცხოელი სტუდენტებისთვის ჩვენს უნივერსიტეტში.	✓	✓	✓	✓	✓	ინფორმაციას შედეგების შესახებ შეაგროვებს, გააანალიზებს და წარმოადგენს საგარეო ურთიერთობათა სამსახური.	სტუდენტთა ოდენობა 3-5%-ით გაიზრდება.

4.3. უცხოენოვან ლიტერატურასთან მუშაობა

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„ბიბლიოთეკის გამდიდრება უცხოენოვანი ლიტერატურით“ - უნივერსიტეტი გაზრდის ბიბლიოთეკაში უცხოენოვანი აქტუალური, თანამედროვე სახელმძღვანელოების, კვლევებისა და სამეცნიერო ჟურნალების რაოდენობას.	✓	✓	✓	✓	✓	ფაკულტეტები, დარგობრივი დეპარტამენტები, კვლევითი ინსტიტუტები, საგარეო	ბიბლიოთეკის უცხოენოვანი ფონდი გაიზრდება საშუალოდ წლიურად 0,5-1%-ით, განხორციელდება
2	„უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნა“ - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს უცხო ენიდან თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და კვლევების თარგმნას.	✓	✓	✓	✓	✓	ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახური,	სახელმძღვანელოების თარგმნა უცხო ენიდან, მინიმუმ ერთი სახელმძღვანელო
3	„უცხო ენაზე თარგმნა“ - უნივერსიტეტი შეუწყობს ხელს მის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ განხორციელებული მნიშვნელოვანი კვლევებისა და შექმნილი სახელმძღვანელოების თარგმნას უცხო ენაზე.			✓	✓	✓	ადმინისტრაცია, უნივერსიტეტის გამომცემლობა; ინფორმაციას შედეგების შესახებ	გადაითარგმნება ქართლიდან უცხო ენაზე; დაიწყება მინიმუმ ორ ერთობლივ
4	„ერთობლივი სახელმძღვანელო“ - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან (მათ შორის ქართულ) ერთად ერთობლივი სახელმძღვანელოების შექმნას			✓	✓	✓	შეაგროვებს, გააანალიზებს და წარმოადგენს საგარეო ურთერთობათა სამსახური.	სახელმძღვანელოზე მუშაობა.

ამოცანა 4.4. უცხოურ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა .

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები	
1 „განახლებული მემორანდუმები“ – უნივერსიტეტი გაააქტიურებს ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმებს საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან და გააფორმებს ახალ ხელშეკრულებებს.	✓	✓	✓	✓	✓	ადმინისტრაცია, საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახური,	მიღწეულ უნდა იქნას მინიმუმ ერთი აქტივობა ყოველ მემორანდუმზე. დისტანციურად ჩატარებული ლექციების ოდენობა წლიურად 3-5%-ით უნდა იზრდებოდეს. ორ წელიწადში ერთხელ უნდა ტარდებოდეს მინიმუმ ერთი საერთაშორისო კონფერენცია, აკადემიური პერსონალის, მკვლევარებისა და სტუდენტების	
2 „დისტანციური სწავლება“ - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს დისტანციურად სწავლების პროცესს.			✓	✓	✓	ფაკულტეტები	და რეგისტრაციის დეპარტამენტები, კვლევითი ინსტიტუტები.	ინფორმაციას შედეგების შესახებ შეაგროვებს, გაანალიზებს და წარმოადგენს საგარეო ურთიერთობათა სამსახური.
3 „საერთაშორისო ფორუმები“ - უნივერსიტეტი გამართავს საერთაშორისო კონფერენციებს სამეცნიერო მუშაობისა და სწავლა-სწავლების სფეროებში, ასევე ხელს შეუწყობს ამგვარ კონფერენციებში სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას.			✓	✓	✓	ინფორმაციას შედეგების შესახებ შეაგროვებს, გაანალიზებს და წარმოადგენს საგარეო ურთიერთობათა სამსახური.	მკვლევარებისა და სტუდენტების საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა წლიურად 5%-ით უნდა იზრდებოდეს. ყოველწლიურად მინიმუმ ორი საზაფხულო სკოლა უნდა ჩატარდეს.	
4 „საზაფხულო სკოლები“ - უნივერსიტეტი ორგანიზებას გაუწევს საზაფხულო სკოლებს, ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას მსგავს სკოლებში პარტნიორ უნივერსიტეტებში.	✓	✓	✓	✓	✓	ინფორმაციას შედეგების შესახებ შეაგროვებს, გაანალიზებს და წარმოადგენს საგარეო ურთიერთობათა სამსახური.	მკვლევარებისა და სტუდენტების საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა წლიურად 5%-ით უნდა იზრდებოდეს. ყოველწლიურად მინიმუმ ორი საზაფხულო სკოლა უნდა ჩატარდეს.	

მიზანი 5. დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მკვლევარს შორის ურთიერთობა უნდა მოიცავდეს ურთიერთმხარდაჭერას, ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას;

გადაჭრის გზები:

- 5.1. კარიერული განვითარების ცენტრის ამოქმედება;
- 5.2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს სტუდენტი, კურსდამთავრებული დამსაქმებელი, მეცნიერი და საერთაშორისო ექსპერტი;
- 5.3. დამსაქმებლებთან შინაარსიანი, ორმხრივად ფასეული, რეალური და მოქმედი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და განხორციელება;
- 5.4. მიზანმიმართული, ორგანიზებული და კონტროლირებადი სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის განხორციელება;
- 5.5. დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორსა და მკვლევარს შორის ინფორმაციისა თუ მონაცემთა გაცვლის, სწავლებისა და კვლევის გაუმჯობესების მიზნით ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელება.

5.1. კარიერული განვითარების ცენტრის ამოქმედება.

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	პროგრამა „სტუდენტების ტრენინგი“ - უნივერსიტეტის შექმნის და განახორციელებს ტრენინგ-კურსებს, რომლებიც სტუდენტებს დამსაქმებლებთან ურთიერთობასა და სამსახურის მოძიებაში დაეხმარება - განაცხადების შევსება, სამოტივაციო წერილების დაწერა, გასაუბრების გავლა და ა.შ.		✓	✓	✓	✓		სტუდენტთა მინიმუმ 3-5% ყოველწლიურად გაივლის ტრენინგ-კურსებს. 2-3 წლის მანძილზე აწყოილი იქნება სტაჟირების და ვაკანსიების ბაზები, რომელთა ეფექტურობა მინიმუმ 10% იქნება შეთავაზებული შესაძლებლობების ათვისების მხრივ.
2	პროგრამა „სტაჟირების ბაზა“ - უნივერსიტეტი შექმნის მუდმივად განახლებად ბაზას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს შეარჩიონ კომპანია სტაჟირების გავლისთვის, მათ შორის საზღვარგარეთ.		✓	✓	✓	✓	კარიერული განვითარების ცენტრი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, დარგობრივი დეპარტამენტები, სტუდენტთა მომსახურების სამსახური	კარიერული განვითარების ცენტრი
3	პროგრამა „ვაკანსიების ბაზა“ - უნივერსიტეტი შექმნის მუდმივად განახლებად ბაზას, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ. ეს ბაზა შეავსებს ინფორმაციას, რომელიც დასაქმების სამსახურს და სხვადასხვა ვებ-გვერდებს გააჩნიათ და სტუდენტებს სამუშაოს მოძიების დამატებით შესაძლებლობებს შეუქმნის, მათ შორის საზღვარგარეთ.		✓	✓	✓	✓	სტუდენტთა მომსახურების სამსახური	კარიერული განვითარების ცენტრი
4	პროგრამა „კურსდამთავრებულთან კონტაქტი“ - კარიერული განვითარების ცენტრი პერმანენტულად დააკვირდება კურსდამთავრებულთა კარიერის მიმდინარეობას და გააკეთებს დასკვნებს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურობის, კურსდამთავრებულის უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარების, მოკლევადიანი სასწავლო კურსების აუცილებლობის შესახებ და ა.შ.		✓	✓	✓	✓	სამსახური	ყოველწლიურად წარადგენს მოხსენებას კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის შესახებ.

5.2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს სტუდენტი, კურსდამთავრებული დამსაქმებელი, მეცნიერი და საერთაშორისო ექსპერტი

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1 „შემუშავების პროცესი“ - პროგრამის შემუშავებაში ჩართული იქნება თითოეული ინტერესთა ჯგუფი გამოკითხვების, კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფის სამუშაო შეხვედრების, ინდივიდუალური ინტერვიუების, სპეციალურ კონფერენციებზე დასწრების ფორმით.	✓	✓	✓				სამი წლის მანძილზე მიღწეული იქნება აბსოლუტურად ყველა ინტერესთა ჯგუფის ჩართულობა
2 „განხორციელების პროცესი“ - პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება ყველა ინტერესთა ჯგუფი გამოკითხვების და ფაკულტეტის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის, მასტერ-კლასების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის, კვლევითი პროექტების, კონსულტირების, კურსდამთავრებულთა და ბიზნესმენტა სტუდენტებთან შეხვედრის ფორმით.	✓	✓	✓	✓	✓	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დარგობრივი დეპარტამენტები, ფაკულტეტის	კურიკულუმების შექმნისა და განხორციელების პროცესში, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტიზა მინიმუმ 40% საგანმანათლებლო პროგრამებში სამივე საფეხურზე, ასევე პროფესიულ პროგრამებზე.
3 „შეფასების პროცესი“ - ინტერესთა ჯგუფები ჩართულები იქნებიან კურიკულუმის შეფასების პროცესში გამოკითხვების, კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფის სამუშაო შეხვედრების, ინდივიდუალური ინტერვიუების, სპეციალურ კონფერენციებზე დასწრების ფორმით.	✓	✓	✓	✓	✓	ადმინისტრაცია, კარიერული განვითარების ცენტრი	ინფორმაციას შეაგროვებს და წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
4 „განვითარების პროცესი“ - ინტერესთა ჯგუფები კურიკულუმის განვითარებისა და ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში იქნებიან ჩართულები.	✓	✓	✓	✓	✓		

5.3. დამსაქმებლებთან შინაარსიანი, ორმხრივად ფასეული, რეალური და მოქმედი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და განხორციელება;

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები	
1 პროექტი „მასტერ-კლასი“ - უნივერსიტეტი ერთდღერადად ან ლექციების ციკლის ფორმით მოიწვევს წარმატებულ ბიზნეს და სხვა სფეროს ლიდერებს სტუდენტებთან გასაუბრების, საკუთარი კარიერის შესახებ ინფორმაციის გადაცემის, რეალური საქმიანი სამყაროს გამოცდილების გაზიარების მიზნით.		✓	✓	✓	✓	კარიერული განვითარების ცენტრი, დარგობრივი დეპარტამენტები, კვლევით ინსტიტუტები, სტუდენტთა მომსახურების სამსახური, სტუდენტურ თვითმმართველობა ინფორმაციის მოზიებასა და ანალიზზე პასუხისმგებელი იქნება კარიერული ზრდის სამსახური	სამი წლის მანძილზე მასტერ-კლასების პროგრამა დაწერგული იქნება საგანმანათლებლო პროგრამათა მინიმუმ 60%-ზე. სტაჟირების პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა ოდენობა ყოველწლიურად 5%-ით გაიზრდება. პროდუქტების განვითარების პროგრამა მოიცავს წლიურად მინიმუმ სტუდენტთა 3-5%-ს.	
2 პროექტი „სტაჟირება პრაქტიკის ნაცვლად“ - უნივერსიტეტი დამსაქმებლისთვის მაღალი უნარ-ჩვევების მქონე სტაჟორების შეთავაზებით შეეცდება მიაღწიოს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გარკვეულწილად ჩანაცვლებას სტაჟირებით.		✓	✓	✓	✓		პროდუქტების განვითარებას სტუდენტების პრაქტიკის/სტაჟირების, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების განხორციელების ფარგლებში.	კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები
3 პროექტი „პროდუქტების განვითარება“ - უნივერსიტეტი შესთავაზებს საქმიან წრეებს მათი პროდუქტების განვითარებას სტუდენტების პრაქტიკის/სტაჟირების, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების განხორციელების ფარგლებში.		✓	✓	✓	✓		კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებზე ყოველწლიურად ჩართული იქნება მინიმუმ ერთი მეტი კომპანია.	
4 პროექტი „კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები“ - უნივერსიტეტი შექმნის და შესთავაზებს დამსაქმებლებს მოკლევადიან ფასიან კურსებს, რომელთა გავლაც უზრუნველყოფს დასაქმებულ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.		✓	✓	✓	✓			

5.4. მიზანმიმართული, ორგანიზებული და კონტროლირებადი სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის განხორციელება;

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„სასწავლო პრაქტიკა“ - უნივერსიტეტი შეეცდება სწავლების საწყის დონეებზე შემოიღოს სასწავლო (გაცნობითი) პრაქტიკის კომპონენტი.			✓	✓	✓	კარიერული განვითარების ცენტრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დარგობრივი დეპარტამენტები	დამსაქმებლისა და სტუდენტთა გამოკითხვა და ინტერვიუ აჩვენებს პრაქტიკის მიმართ მათი დამოკიდებულების დადებით ცვლილებას წლიურად საშუალოდ 20-25%-ით. გამოკითხვას აწარმოებს კარიერული განვითარების ცენტრი
2	„საწარმოო პრაქტიკა“ - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საწარმოო პრაქტიკას სწავლების ბოლო ეტაპებზე.	✓	✓	✓	✓	✓		
3	„კონტროლირებადი პრაქტიკა“-„იდუმალი სტუმრის“ გამოყენებით უნივერსიტეტი შეეცდება პრაქტიკული კომპონენტი მაქსიმალური კონტროლის ქვეშ მოაქციოს, რათა თავიდან იქნას აცილებული პრაქტიკის „დაუსწრებლად“ გავლისა და ჩათვლის პრაქტიკა.	✓	✓	✓	✓	✓		
4	„შედეგიანი პრაქტიკა“-„იდუმალი შემფასებლის“ გამოყენებით უნივერსიტეტი შეეცდება შემოიღოს პრაქტიკის შეფასების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტის მიერ პრაქტიკაზე მიღებული უნარ-ჩვევების მაქსიმალურად ობიექტურ შეფასებას.	✓	✓	✓	✓	✓		

5.5. დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორსა და მკვლევარს შორის ინფორმაციისა თუ მონაცემთა გაცვლის, სწავლებისა და კვლევის გაუმჯობესების მიზნით ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელება.

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1 „ბიზნეს-იდეების კონკურსი“ - უნივერსიტეტი დამსაქმებლის მხარდაჭერით ჩაატარებს ბიზნეს-იდეებისა და სტარტაპების კონკურსს, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს თავიანთი ბიზნეს-იდეები შეიმუშაონ, ისარგებლონ კონსულტაციებით, მოძებნონ ინვესტორები და ისარგებლონ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით ბიზნესის განვითარების პირველ ეტაპზე.		√	√	√	√	ხარისხის უზრუნველყოფის	ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს ბიზნეს-იდეებისა და კვლევითი იდეების კონკურსი, რომელის მონაწილეთა რაოდენობა მინიმუმ 10%-ით გაიზრდება.
2 „კვლევითი იდეების კონკურსი“ - უნივერსიტეტი დამსაქმებლის მხარდაჭერით და კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით ჩაატარებს სტუდენტური კვლევითი იდეების კონკურსს, რომელთა მიზანი კვლევითი პროდუქტის შემუშავება და პროტოტიპირება იქნება.		√	√	√	√	სამსახური, კარიერული განვითარების ცენტრი,	ხუთი წლის მანძილზე უნდა მომზადდეს და ამოქმედდეს მინიმუმ ერთი პროგრამა დაფუძნებული პრაქტიკასა და კონსულტირებაზე.
3 პროექტი „ისწავლე მუშაობაში“ - უნივერსიტეტი შეეცდება დამსაქმებლის, კვლევითი ინსტიტუტის და დარგობრივი დეპარტამენტის მონაწილეობით განახორციელოს ექსპერიმენტული პროგრამა, რომელიც წარმოების პროცესში დასაქმებული სტუდენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე ააწყო სწავლების პროცესს.		√	√	√	√	სტუდენტთა მომსახურების სამსახური, დარგობრივი დეპარტამენტები,	კვლევითი ინსტიტუტები
4 პროექტი „ისწავლე კონსულტირების პროცესში“ - უნივერსიტეტი შეეცდება გამოიყენოს იურიდიული კლინიკის ბაზაზე მიღებული გამოცდილება და დამსაქმებელთან და კვლევით ინსტიტუტებთან ერთად განახორციელოს ექსპერიმენტული პროგრამა, რომელიც კონსულტირების პროცესში დაკავებული სტუდენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე ააწყო სწავლების პროცესს.		√	√	√	√		

მიზანი 6. როგორც აკადემიურ, ისე სხვა სფეროებში უნივერსიტეტს უნდა ჰყავდეს სტრატეგიულად პარტნიორი ორგანიზაციები.

გადაჭრის გზები:

- 6.1. უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს სტრატეგიული პარტნიორები განათლების სფეროში;
- 6.2. უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს სტრატეგიული პარტნიორები საჯარო სფეროში;
- 6.3. უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს სტრატეგიული პარტნიორები საქმიან სფეროში;
- 6.4. უნივერსიტეტს უნდა ჰყავდეს „მეგობრები“ საზოგადოებაში.

6.1. უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს სტრატეგიული პარტნიორები განათლების სფეროში

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1 „პარტნიორი - უნივერსიტეტი“ - უნივერსიტეტი შეიძენს პარტნიორ უნივერსიტეტს, რომელთანაც განსაკუთრებულად დაახლოებული ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობები ექნება.		√	√	√	√	ადმინისტრაცია, ფაკულტეტები, უნივერსიტეტის პრესსამსახური, კვლევით ინსტიტუტები	უნივერსიტეტს ეყოლება თითო პარტნიორი დასახელებული მიმართლებების მიხედვით.
2 „პარტნიორი - კვლევითი ინსტიტუტი“ - უნივერსიტეტი განსაკუთრებული ოფიციალური თუ არაოფიციალური ურთიერთობებით არის დაკავშირებული სხვა კვლევით ინსტიტუტთან“.		√	√	√	√		
3 „პარტნიორი - სკოლა“ - უნივერსიტეტი მეურვეობა აიღებს სკოლაზე, რომელთანაც განახორციელებს პროექტებს, პრაქტიკას, კონფერენციებს, პროგრამებს და სხვა.		√	√	√	√		
4 „პარტნიორი - ბავშვთა ბაღი“ - უნივერსიტეტს მეურვეობას აიღებს ბავშვთა ბაღზე და ხელს უწყობს მის განვითარებას.		√	√	√	√		

6.2. უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს სტრატეგიული პარტნიორები საჯარო სფეროში

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1 „პარტნიორობა განათლების პოლიტიკის სფეროში“ - უნივერსიტეტი შეიძენს პარტნიორ ორგანიზაციას განათლების დარგში სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში.		✓	✓	✓	✓		
2 „პარტნიორობა დასაქმებისთვის“ - უნივერსიტეტი შეიძენს პარტნიორს დასაქმების დარგში სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში.		✓	✓	✓	✓	ადმინისტრაცია, ფაკულტეტები უნივერსიტეტის პრესსამსახური, კარიერული განვითარების ცენტრი, კვლევით ინსტიტუტები	უნივერსიტეტს ეყოლება თითო პარტნიორი დასახელებული მიმართლებების მიხედვით.
3 „პარტნიორობა ადგილობრივი განათლების პოლიტიკის სფეროში“- უნივერსიტეტს შეიძენს პარტნიორ ორგანიზაციას აჭარის ა.რ. მასშტაბით განათლების პოლიტიკის სფეროში.		✓	✓	✓	✓		
4 „პარტნიორობა ქალაქის განათლების პოლიტიკის სფეროში“ - უნივერსიტეტი დაამყარებს პარტნიორულ ურთერთობებს ქალაქის განათლების პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან.		✓	✓	✓	✓		

ამოცანა 6.3. უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს სტრატეგიული პარტნიორები საქმიან სფეროში

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1 მსხვილი საწარმო - უნივერსიტეტს ეყოლება მსხვილი ბიზნეს-პარტნიორი, რომელთანაც განსაკუთრებული, ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობები ექნება.		√	√	√	√		
2 მსხვილი ბანკი - უნივერსიტეტი დაამყარებს პარტნიორულ ურთიერთობას მსხვილ საბანკო დაწესებულებასთან. რომელიც ასევე დაეფუძნება ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობებს.		√	√	√	√		
3 მსხვილი ასოციაცია- უნივერსიტეტი დაამყარებს საპარტნიორო ურთიერთობას საქმიან ასოციაციასთან (ასოციაციებთან), რომელიც პროფესიული ან სხვა ნიშნით იქნება შექმნილი.		√	√	√	√	ადმინისტრაცია, ფაკულტეტები პრესსამსახური, კარიერული განვითარების ცენტრი,	მიღწეული იქნება საპარტნიორო ურთიერთობები თითოეული პუნქტის მინიმუმ ერთ სუბიექტთან.
4 მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაცია - უნივერსიტეტი დაამყარებს საპარტნიორო ურთიერთობებს განათლების სფეროში მოქმედ მნიშვნელოვან არასამთავრობო ორგანიზაციასთან.		√	√	√	√		

ამოცანა 6.4. უნივერსიტეტს უნდა ჰყავდეს „მეგობრები“ საზოგადოებაში.

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1 პროექტი „მზრუნველთა საბჭო“ - უნივერსიტეტი შექმნის მზრუნველთა საბჭოს, რომელიც სამეცნიერო, აკადემიური, ზიზნეს, სამოქალაქო და სახელმწიფო წრის წარმომადგენელთაგან იქნება შედგენილი. ეს საბჭო მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების შესახებ რჩევების მიცემით, საზოგადოებასთან ურთიერთობის ორგანიზებით და სხვა მსგავსი საკითხებით იქნება დაკავებული.		✓	✓	✓	✓		ორ წელიწადში შეიქმნება და მუშაობას დაიწყებს მზრუნველთა საბჭო და ჩამოყალიბებული მხარდაჭერისა და განვითარების ფონდის ფინანსური მასშტაბი
2 პროექტი „მხარდაჭერის და განვითარების ფონდი“ - უნივერსიტეტის საკუთარი და მოზიდული ფინანსური რესურსები შიდა და გარე სოციალური და აკადემიური საჭიროებისთვის იქნება გამოყენებული.		✓	✓	✓	✓	ადმინისტრაცია, ფაკულტეტები, კვლევითი ინსტიტუტები, პრესსამსახური, ფინანსური სამსახური,	ყოველწლიურად 3-5%-ით გაიზარდება. უნივერსიტეტს ეყოლება თითო პარტნიორი მესამე და მეოთხე კუნძტების მიხედვით.
3 პროექტი „საზოგადო მოღვაწე“ - უნივერსიტეტს ეყოლება სტრატეგიული მეგობარი ცნობილი საზოგადო მოღვაწის სახით, რომელთანაც უნივერსიტეტი განსაკუთრებულ კავშირებს დაამყარებს. ეს პიროვნება უნივერსიტეტის სახელთან იქნება ასოცირებული.		✓	✓	✓	✓		
4 პროგრამა „ცნობილი მეცნიერი“ - უნივერსიტეტი დაამყარებს განსაკუთრებულ კავშირს ცნობილ მეცნიერთან, რომელიც გახდება ასოცირებული უნივერსიტეტის სახელთან.		✓	✓	✓	✓		

მიზანი 7. სწავლის, სწავლების, კვლევებისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად უნდა ვითარდებოდეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა

გადაჭრის გზები:

- 7.1. სასწავლო პროცესის აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს უნივერსიტეტის ფართის ზრდა და განვითარება;
- 7.2. უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოთ თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- 7.3. უნდა შეიქმნას სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურა;
- 7.4. სასწავლო პროგრამის გარეთ უნდა განვითარდეს სტუდენტის მოქლაქეობრივი და ინტელექტუალური განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. უნდა დაინერგოს სხვადასხვა საზოგადოებრივი და კულტურული აქტივობები და ხელი შეეწყოს მათ ცართულობას სტუდენტურ აქტივობებში.

7.1. სასწავლო პროცესის აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს უნივერსიტეტის ფართის ზრდა და განვითარება;

ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1 „ფართის გაზრდა“ - უნივერსიტეტის სასწავლო ფართი გაიზრდება სტუდენტების რაოდენობის ზრდის პროპორციულად. უნივერსიტეტი დაკავდება როგორც არსებული ფართების განვითარებით, ისე ახალი ფართების დამატებით როგორც საკუთარი ძალებით, ისე ადგილობრივ ხელისუფლებასთან მუშაობის გზით.		√	√	√	√	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია	უნივერსიტეტის ფართი გაიზრდება სტუდენტების რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ. ელექტრონული პროგრამის ამოქმედება. გამოკითხვებში ნულამდე დავა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და საერთო საცხოვრებლის პირობებით უკმაყოფილება. გამოკითხვებს აწარმოებს და წარმოადგენს სტუდენტთა მომსახურების სამსახური
2 „ფართის ეფექტური გამოყენება“ - სასწავლო ფართის ეფექტურად გამოყენების მიზნით დაინერგება სასწავლო პროცესის (ცხრილების) ერთიანად ორგანიზების ელექტრონული პროგრამა		√	√	√	√		
3 „სანიტარია“ - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები მკაცრად იქნება დაცული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ყველა კორპუსში.	√	√	√	√	√		
4 „მოდერნიზებული საერთო საცხოვრებელი“ - საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის მოდერნიზდება და შეკეთდება საერთო საცხოვრებელი		√	√	√	√		
5 „ავტოსადგომის საკითხი“ - პრობლემის მოგვარებაზე მუშაობის დაიწყება ადგილობრივ ხელისუფლებასთან. გარდა ამისა, პრობლემის მოგვარებისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ველოსიპედის მოხმარების კულტურის პროპაგანდა სტუდენტებსა და აკადემიური პერსონალში.	√	√	√	√	√		

7.2. უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოთ თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
							უნივერსიტეტის ადმინისტრაცია	
1	„აღჭურვილი სასწავლო ფართი“ - სასწავლო ფართი აღიჭურვება როგორც უშუალოდ სწავლებასთან დაკავშირებული მატერიალური და ინფორმაციული რესურსებით (კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, სპეციალური პროფესიული ინვენტარი და ა.შ.), არამედ კომფორტის სხვა ელემენტებიცთაც (კონდიციონერა, თანამედროვე ავეჯი და ა.შ.)	✓	✓	✓	✓	✓	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია	ხუთი წლის მანძილზე მიღწეული უნდა იქნება აბსოლუტური რეორგანიზაცია და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ყველა პუნქტისთვის. ინფორმაციას წარმოადგენს სამეურნეო სამსახური
2	„აღჭურვილი კვლევითი ფართი“ - კვლევითი ინსტიტუტების, სპეციალიზებული კაბინეტები, ლაბორატორიები ინფრასტრუქტურა აღიჭურვება როგორც თანამედროვე სპეციალზებული ინვენტარით, ასევე ზოგადი კომფორტის და საინფორმაციო ტექნოლოგიის ელემენტებით.	✓	✓	✓	✓	✓		
3	„აღჭურვილი საპროფესორო“ - ყოველ აკადემიურ პირს შეექმნება ინდივიდუალური სამუშაო გარემო. გადა ამისა, უნივერსიტეტი შეეცდება უზრუნველყოს მაქსიმალური კეთილგანწყობილი პირობები მოწვეული მასწავლებლებისთვის.	✓	✓	✓	✓	✓		
4	„აღჭურვილი ადმინისტრაცია“ - უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აღიჭურვება თანამედროვე, კომფორტული სამუშაო გარემოთი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.	✓	✓	✓	✓	✓		

7.3. უნდა შეიქმნას სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურა;

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„ინტერნეტი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე“ - სტუდენტისთვის ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდება უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ნებისმიერ კორპუსში	√	√	√			უნივერსიტეტის ადმინისტრაცია	ორ წელში ინტერნეტში, დასასვენებელი სივრცეები და ბიბლიოთეკები მთელ უნივერსიტეტს მოიცავს. განვითარდება ინკლუზიური ინფრასტრუქტურა. ხუთი წლის მანძილზე სრულად აღიჭურვება აბსოლუტურად ყველა სპორტული ინფრასტრუქტურული ობიექტი. ინფორმაციას პერიოდულად წარმოადგენს სამეურნეო სამსახური
2	„დასასვენებელი სივრცეები და ღია ბიბლიოთეკები სტუდენტებისთვის“ - დასასვენებელი სივრცეებით და ღია ბიბლიოთეკებით აღიჭურვება უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია, ყველა კორპუსი.	√	√	√				
3	„სოციალურ-ინკლუზიური სასწავლო გარემო“ - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პირობებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სასწავლო და კვლევით პროცესში სრული ინტეგრირებისთვის.	√	√	√				
4	„განვითარებული სპორტული ინფრასტრუქტურა“ - უნივერსიტეტი შეეცდება აბსოლუტურად თანამედროვე დონეზე განავითაროს სპორტული ინფრასტრუქტურის ობიექტები და შეძლებისდაგვარად შექმნას ახალი.	√	√	√				

7.4. სასწავლო პროგრამის გარეთ უნდა განვითარდეს სტუდენტის მოქლაქეობრივი და ინტელექტუალური განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. უნდა დაინერგოს სხვადასხვა საზოგადოებრივი და კულტურული აქტივობები და ხელი შეეწყოს მათ ცართულობას სტუდენტურ აქტივობებში.

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	სტუდენტური კაფე - უნივერსიტეტი მოაწვობს სტუდენტური კაფეს (კაფეების) უნივერსიტეტის კორპუსებში.	√	√	√			ადმინისტრაცია, სტუდენტთა მომსახურების სამსახური	ამუშავდება სტუდენტური კაფე, სტუდენტური რადიო და გაზეთი, ასევე ამოქმედდება სტუდენტურ ტელევიზიას. ჩატარდება მინიმუმ ორი შეხვედრა წლიურად საზოგადო მოღვაწეებთან, ხელი შეეწყობა სტუდენტური წრების დაარსებას და გაძლიერებას და აღიჭურვება ისინი შესაბამისი ინვენტარით.
2	სტუდენტური რადიო, ტელევიზია და გაზეთი - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სტუდენტური რადიოს, ტელევიზიის და გაზეთის განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ მნიშვნელოვან საუნივერსიტეტო და ქვეყნის პრობლემატურ საკითხებზე (პოლიტიკური და მასთან დაკავშირებული აგიტაციის გარდა).		√	√				
3	შეხვედრები საზოგადო მოღვაწეებთან - უნივერსიტეტი ორგანიზებას გაუწევს პერმანენტურ შეხვედრებს საზოგადო მოღვაწეებთან როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის.	√	√	√	√	√		
4	სტუდენტური თვითშემოქმედება - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სტუდენტური თვითშემოქმედების ყველა მიმართულებას (თეატრი, სიმღერის და ცეკვის ანსამბლები, სპორტული წრეები და ა.შ.)	√	√	√	√	√		

მიზანი 8. აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესები უნდა იყოს ორგანიზებული და ეფექტურად მართული.

გადაჭრის გზები:

- 8.1. მენეჯმენტის ყველა რგოლში ორგანიზაციული ეფექტიანობის გაზრდა;
- 8.2. დანახარჯების ეფექტიანობა უნდა გაიზარდოს და ხარჯვის პროცესი გამჭვირვალე იყოს;
- 8.3. შესრულებული სამუშაო შედეგების მიხედვით უნდა შეფასდეს;
- 8.4. უნდა გაიზარდოს სტუდენტისა და თანამშრომლის სოციალური დაცულობა;
- 8.5. უნივერსიტეტს ჩამოუყალიბდება საკუთარი საინვესტიციო სტრატეგია;
- 8.6. უნივერსიტეტი იმუშავებს ძირითადი სერვისების განვითარებაზე;
- 8.7. უნივერსიტეტის სარეკლამო სტრატეგია გავრცელდება არა მარტო რეგიონში, არამედ მოიცავს საქართველოსა და უცხოეთს;
- 8.8. უნდა დაიხვეწოს უნივერსიტეტი საბიუჯეტო დაგეგმარება;
- 8.9. უნდა გაიზარდოს უნივერსიტეტის მართვაში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის ხარისხი.

8.1. მენეჯმენტის ყველა რგოლში ორგანიზაციული ეფექტიანობის გაზრდა;

ქვემოთა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1		✓	✓			ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საფინანსო სამსახური, იურიდიული დეპარტამენტი ინფორმაციას რეფორმების მიმდინარეობისა და მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის თაობაზე წარმოადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.	ადმინისტრაციული რეფორმა ჩატარდება 2 წლის მანძილზე. დუბლირება და არასაჭირო პოზიციები შესწავლილ იქნება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ. ახალი ტიპის სამუშაო გეგმები დაინერგება სამი წლის მანძილზე.
2		✓		✓			
3		✓	✓	✓			

8.2. დანახარჯების ეფექტიანობა უნდა გაიზარდოს და ხარჯვის პროცესი გამჭვირვალე იყოს;

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები	
1	„ანგარიში შესყიდვების შესახებ“ - უნივერსიტეტი ყოველწლიურად უნდა აქვეყნებდეს ანგარიშს შესყიდვების შესახებ, თუ რა სახის შესყიდვები განხორციელდა და ვისგან იქნა შესყიდული საქონელ-მომსახურება. ანგარიში მოსმენილ უნდა იქნას და წარმოდგენილი ელექტრონული სახით.	√	√	√	√	√	ადმინსიტრაციის ხელმძღვანელი; სისაფინანსო სამეურნეო სამსახურები,	ჩამოთვლილ ანგარიშებს წლიური ხასიათი ექნება, ყოველი მათგანის მოსმენა და განხილვა საჯარო იქნება და ოფიციალურად გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე.	
2	„ანგარიში სტუდენტური თვითმმართველობის მიერ თანხების ხარჯვის შესახებ“ - უნივერსიტეტი ყოველწლიურად უნდა აქვეყნებდეს ინფორმაციას სტუდენტური თვითმმართველობის ხაზით გაკეთებული დანახარჯების ოდენობისა და მიმართულების შესახებ. ანგარიში მოსმენილ უნდა იქნას და წარმოდგენილი ელექტრონული სახით.	√	√	√	√	√			
3	„ანგარიში მივლინებების შესახებ“ - უნივერსიტეტი ყოველწლიურად უნდა აქვეყნებდეს ანგარიშს მივლინებების რაოდენობის, დანიშნულების, დაფინანსებისა და მიზნობრიობის შესახებ. ანგარიში მოსმენილ უნდა იქნას და წარმოდგენილი ელექტრონული სახით.	√	√	√	√	√			
4	„ანგარიში ფინანსებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვის შესახებ“ - უნივერსიტეტი ყოველწლიურად უნდა ისმენდეს ანგარიშს ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვის ოდენობის, დანიშნულებისა და მიზნობრიობის შესახებ. ანგარიში მოსმენილ უნდა იქნას და წარმოდგენილ ელექტრონული სახით.	√	√	√	√	√			

8.3. შესრულებული სამუშაო შედეგების მიხედვით უნდა შეფასდეს;

	ქვეამოცანა						განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
		2016	2017	2018	2019	2020		
1	„შიდა აუდიტი“ -უნივერსიტეტი შექმნის შიდა აუდიტის ოფისს, რომლის დანიშნულება იქნება სასწავლო, კვლევითი და ადმინისტრაციული დეპარტამენტების მუშაობის შეფასება ეფექტიანობის პრინციპის საფუძველზე.		✓	✓	✓	✓	შიდა აუდიტის ოფისი	შიდა აუდიტის ოფისი გახსნიდან ერთი წლის მანძილზე შეიმუშავებს შეფასების სისტემას და კრიტერიუმებს. ამის შემდეგ ყოველწლიურად მოხდება ჩამოთვლილი საქმიანობის შეფასება. საქმიანობის შედეგებს შიდა აუდიტის ოფისი ყოველწლიური მოხსენებით წარმოადგენს.
2	„სწავლების პროცესის შეფასება“ - სწავლების პროცესი შეფასდება დასაქმების პროცესის მიხედვით.	✓	✓	✓	✓	✓		
3	„კვლევითი საქმიანობის შეფასება“ - კვლევითი საქმიანობა შეფასდება ამ საქმიანობის შედეგების გამოყენებითობის მიხედვით.	✓	✓	✓	✓	✓		
4	„ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასება“ - ადმინისტრაციული საქმიანობა შეფასდება ადმინისტრაციული ამოცანების შესრულებადობის მიხედვით.	✓	✓	✓	✓	✓		

8.4. უნდა გაიზარდოს სტუდენტისა და თანამშრომლის სოციალური დაცულობა;

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1			✓	✓	✓	✓		
2	„შეღავათები სტუდენტებს და სტიპენდიების პროგრამა“ - უნივერსიტეტი გააგრძელებს სტუდენტებისთვის შეღავათების გაწევას და სტიპენდიების პროგრამის განხორციელებას.			✓	✓	✓		
3	„დროებითი საცხოვრებლის ბაზა სტუდენტებისთვის“ სტუდენტებისთვის, რომლებიც სხვა რეგიონებიდან არიან და ვერ მოხვდებიან უნივერსიტეტის საცხოვრებელში საცხოვრებლის შეზღუდული სიმძლავრის გამო, უნივერსიტეტი შეეცდება შექმნას გასაქირავებელი საცხოვრებელი ფართობების ბაზა, რაც სტუდენტებს გაუადვილებს ბინის დაქირავების პროცესს.		✓	✓	✓	✓	წარმომადგენლობითო საბჭო, საფინანსო სამსახური, სტუდენტთა მომსახურების ოფისი, კარიერული განვითარების ცენტრი	სწავლის ქირის საპილოტე სისტემა უნდა მომზადდეს ორი წლის მანძილზე და დაიწყოს განხორციელება მესამე წელს. საცხოვრებელი ფართობის პირველადი ბაზა ერთ წელიწადში უნდა ამოქმედდეს.
4	„კორპორაციული კულტურა“ - უნივერსიტეტი შეეცდება შექმნას და პრომოუშენი გაუკეთოს საუნივერსიტეტო კორპორაციულ კულტურას, რომელიც მოიცავს ურთიერთობებს მკვლევრებს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, ადმინისტრაციულ პერსონალს შორის.	✓	✓	✓	✓	✓		

8.5. უნივერსიტეტს ჩამოუყალიბდება საკუთარი საინვესტიციო სტრატეგია;

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„სტუდენტთა მხარდაჭერის და განვითარების ფონდის რესურსების ეფექტიანი ინვესტირება“- უნივერსიტეტი შეეცდება ფონდის აქტივები შედარებით ნაკლებსარისკო ფინანსურ აქტივებში განათავსოს (მაგალითად სახაზინო ვალდებულებები, მაღალრეიტინგული ბანკების ვადიანი ანაზრები ა.შ.)		✓	✓	✓	✓	ადმინისტრაცია, საფინანსო	ფონდის რესურსების ინვესტირება სერიოზული მომზადების შემდეგ უნდა მოხდეს სტრატეგიის
2	„უნივერსიტეტის სასტუმრო“ - უნივერსიტეტი დააფუძნებს საუნივერსიტეტო სასტუმროს, რომელიც სტუდენტურ პრაქტიკასთან ერთად კომერციული მიზნით იქნება გამოყენებული.	✓	✓	✓	✓	✓	სამეურნეო სამსახურები, შესაბამისი ფაკულტეტები, კვლევითი ინსტიტუტები	განხორციელების მხუთე წლიდან. კლინიკის განვითარება ყოველწლიურად უნდა მოხდეს.
3	„უნივერსიტეტის კლინიკა“ - უნივერსიტეტი შეეცდება განავითაროს საუნივერსიტეტო კლინიკები მაღალი ხარისხის სერვისის მქონე სამედიცინო დაწესებულების რანგამდე, რომელიც პრაქტიკასთან ერთად ავადმყოფთა მომსახურებას განახორციელებს, კომერციული მიზნებით იქნება გამოყენებული და სამეცნიერო კვლევების ბაზას შექმნის. ანალოგიური მიმართულება მიეცემა იურიდიულ კლინიკასაც.	✓	✓	✓	✓	✓	ფაკულტეტები, კვლევითი ინსტიტუტები	ინფორმაციას მიმდინარე საქმიანობის შესახებ წარმოადგენენ შესაბამისი სამსახურები /ფაკულტეტები /დეპარტამენტები

8.6. უნივერსიტეტი იმუშავებს ძირითადი სერვისების განვითარებაზე;

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„პროფესიული პროგრამების განვითარება“ - უნივერსიტეტი შეეცდება გამუდმებით გაზარდოს პროფესიული პროგრამების ოდენობა იმ პირობით, რომ ამ პროგრამებზე იქნება საკმარისი მოთხოვნა და უზრუნველყოფილი იქნება კვალიფიციური პერსონალით და შესაბამისი მატერიალური ბაზით.			✓	✓	✓		
2	„საბაკალავრო პროგრამების განვითარება“ - უნივერსიტეტი განავითარებს საბაკალავრო პროგრამებს ბაზარზე მოთხოვნების შესწავლის შედეგად.		✓	✓	✓	✓	ფაკულტეტები, ხარისხის იზრუნველყოფის სამსახური, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახური, დარგობრივი დეპარტამენტები,	განხორციელებული კვლევების მაჩვენებელი
3	„სამაგისტრო პროგრამების განვითარება“ - უნივერსიტეტი შეეცდება შეინარჩუნოს და განავითაროს მხოლოდ ის სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც რეალურად აძლევენ მაგისტრატურით გათვალისწინებულ უნარ-ჩვევებს და არ წარმოადგენენ სტუდენტებისთვის „სამუშაოს შემდეგ შემორბენის და დიპლომის გამო სწავლის“ ელემენტს, რომელიც მხოლოდ სამსახურში საჩვენებლად სჭირდებათ.		✓	✓	✓	✓		
4	„სადოქტორო პროგრამების განვითარება“ - უნივერსიტეტი განავითარებს მხოლოდ იმ სადოქტორო პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მნიშვნელოვანი სამეცნიერო სიახლეების მიღწევას დოქტორანტებისთვის და არ წარმოადგენენ მხოლოდ დოქტორის წოდების მისაღწეველ ინსტრუმენტს. ბსუ-ს ინტრესებიდან გამომდინარე დოქტორანტის მომზადება შეიძლება დააფინანსოს უნივერსიტეტმა, ხოლო გარედან მომართვის შემთხვევაში დაწესდეს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რეალური ფასი.		✓	✓	✓	✓	კარიერული განვითარებისა და შიდა აუდიტის სამსახურები	ყოველწლიურად ინფორმაციას წარმოადგენს რექტორი

8.7. უნივერსიტეტის სარეკლამო სტრატეგია გავრცელება არა მარტო რეგიონში, არამედ მოიცავს საქართველოსა და უცხოეთს;

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„რეკლამირება რეგიონში“ – რეგიონში რეკლამა განხორციელდება მომხმარებელთან მჭიდრო და უშუალო კონტაქტით (ღია კარის დღე, ვიზიტები სკოლაში, კამპანია მასმედიის მეშვეობით).		✓	✓	✓	✓		საქართველოს სხვა რეგიონებიდან სტუდენტების წილი უნივერსიტეტში უცხოელ სტუდენტთა წილი
2	„ქვეყნის მასშტაბით რეკლამირება“ - ქვეყნის მასშტაბით რეკლამა განხორციელდება სატელევიზიო კამპანიის მეშვეობით, სხვა რეგიონებიდან ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების და კურსდამთავრებულების დახმარებით.		✓	✓	✓	✓	ადმინისტრაცია, პრესსამსახური, ფაკულტეტები,	წლიურად 1-2% გაიზრდება.
3	„საერთაშორისო რეკლამირება“ - საერთაშორისო რეკლამა მიზნობრივ ბაზარზე განხორციელდება სატელევიზიო რეკლამის, უცხოელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დახმარებით.		✓	✓	✓	✓	საგარეო ურთიერთობათა სამსახური	უნივერსიტეტში უცხოელ სტუდენტთა წილი ყოველწლიურად მინიმუმ 3-5% გაიზრდება.
4	„ეფექტიანი ხარჯვა“ - რეკლამაზე გაწეული თანხები დაექვემდებარება იგივე ანალიზს იგივე პრინციპით, რითაც სხვა სახის დანახარჯები - ხარჯვის შედეგად მიღებული სარგებლის შედარებით დანახარჯებთან.		✓	✓	✓	✓		ინფორმაციას წარმოადგენენ ფაკულტეტები და საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახური

8.8. უნდა დაიხვეწოს უნივერსიტეტი საბიუჯეტო დაგეგმარება

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი
								შედეგები
1	„უნივერსიტეტის ბიუჯეტი“ - უნივერსიტეტი შეეცდება შექმნას პროგრამული ბიუჯეტი.		✓	✓	✓	✓	ადმინისტრაცია, ფინანსური სამსახური, ფაკულტეტები, დარგობრივი დეპარტამენტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	უნივერსიტეტის ბიუჯეტის რეფორმირება ოთხი წლის მანძილზე გაგრძელდება, ამ პერიოდში მომზადდება ბაზა ფაკულტეტების ბიუჯეტებისთვის ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტები უნდა შედგეს სტრატეგიული გეგმის განხორციელების მესამე წლიდან, მათ შორის ფუნდამენტური და სტრატეგიული პროგრამებისთვის. ინფორმაციას ამზადებენ და წარმოადგენენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2	„ფაკულტეტის ბიუჯეტები“ - უნივერსიტეტი შეეცდება შეისწავლოს საფაკულტეტო ბიუჯეტების საუკეთესო გამოცდილება საქართველოში და საზღვარგარეთ და მოამზადოს ბაზა ფაკულტეტების ბიუჯეტების ჩამოყალიბებისა და განხორციელებისთვის.		✓	✓	✓	✓		
3	„საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტები“ - ყოველ პროგრამას უნდა გააჩნდეს მისი ბიუჯეტი, სადაც ჩანს პროგრამის ფინანსური ეფექტიანობა.			✓	✓	✓		
4	„ალტერნატიული მიდგომა ფუნდამენტური და სტრატეგიული პროგრამების მიმართ“ - უნივერსიტეტი შეიმუშავებს ეფექტიანობის სპეციალურ კრიტერიუმებს იმ პროგრამების მიმართ, რომლებიც ფინანსურად ეფექტურები არ არიან. ამ კრიტერიუმებით მოხდება პროგრამის ეფექტურობის შეფასება.	✓	✓	✓	✓	✓		

8.9. უნდა გაიზარდოს უნივერსიტეტის მართვაში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის ხარისხი.

	ქვეამოცანა	2016	2017	2018	2019	2020	განმახორციელებელი	მოსალოდნელი შედეგები
1	„სტუდენტის ხმა“ - უნივერსიტეტი მოუსმენს ყველა სტუდენტს. ყველა აზრი იქნება განხილული და მიღებული იმ შემთხვევაში თუ იგი აუმაჯობებს სტუდენტის მდგომარეობას, ზრდის სწავლა/სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების ხარისხს.	✓	✓	✓	✓	✓		სტუდენტური, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვები დააფიქსირებენ
2	„აკადემიური პერსონალის ხმა“ - უნივერსიტეტი გაითვალისწინებს აკადემიური პერსონალის შეხედულებებს სამუშაო გარემოს, სწავლა/სწავლების, კვლევის და მართვის ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებით.	✓	✓	✓	✓	✓	აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, სტუდენტთა მომსახურების	დადებითი შეფასებების ზრდას წლიურად მინიმუმ 5%-ით. საზოგადოებრივი ჩართულობა
3	„ადმინისტრაციული პერსონალის ხმა“ - უნივერსიტეტი მხედველობაში მიიღებს ადმინისტრაციული პერსონალის შეხედულებას მართვის ეფექტიანობის ამაღლებასთან და სამუშაო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.	✓	✓	✓	✓	✓	სამსახური, სტუდენტური თვითმმართველობა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,	განხორციელდება უნივერსიტეტის ყველა საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებისას.
4	„საზოგადოების ხმა“ - უნივერსიტეტი შეეცდება საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებამდე განახორციელოს საზოგადოებრივი ჩართულობა, რომელიც აჩვენებს უნივერსიტეტს თუ რამდენად სწორია ამგვარი გადაწყვეტილების მიღება საზოგადოებრივი თვალსაზრისით.	✓	✓	✓	✓	✓		ინფორმაციას შედეგების შესახებ წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და საზოგადოებრივი აზრის ოფისი.

წარმატების სტრატეგიული ფაქტორები და რესურსები

მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტის განვითარების წარმატებას განაპირობებს შემდეგი სტრატეგიული ფაქტორები:

1. უნივერსიტეტში არსებული ძლიერი სკოლები როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით (მაგალითად მათემატიკა, ბიოლოგია, ფილოლოგია, ისტორია და სხვა),
2. უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული კვლევითი ინსტიტუტები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენენ კვლევითი საქმიანობის შემდეგომი გაფართოებისათვის;
3. უნივერსიტეტის ბიუჯეტი საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსს წარმოადგენს, რაც შესაძლებლობას აძლევს უნივერსიტეტს სტრატეგიის მრავალი პუნქტი შეუფერხებლად განახორციელოს;
4. დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა უნივერსიტეტის საქმიანობა ფინანსური შეუფერხებლად განხორციელდეს;
5. წლების მანძილზე ეფექტურად მოქმედი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დაწესებულების ძლიერ მხარეს და შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს;
6. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა წარმოადგენს მართვის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ ფაქტორს.
7. უნივერსიტეტის იმიჯი, გამომდინარე წარსული აკრედიტაციისა და ავტორიზაციის წარმატებებიდან, საკმაოდ მნიშვნელოვანია და საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი იყოს ჩართული განათლების პოლიტიკის განხორციელების პროცესში;
8. ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა უნივერსიტეტს მრავალი გაბედული პროექტის განხორციელების საშუალებას აძლევს.

ძირითადი რისკები

უნივერსიტეტის განვითარების წარმატება შეიძლება დააბრკოლოს შემდეგმა საფრთხეებმა:

ძირითადი საფრთხეები	საფრთხესთან გამკლავების მიმართულებები
რამდენიმე ადგილას დასაქმებული პერსონალი, რომლისთვისაც უნივერსიტეტი პრიორიტეტთა სისტემაში არა დგას პირველ ადგილზე, აქედან გამომდინარე მათი შრომის ნაყოფიერება და შრომის შედეგი დაბალია.	<ul style="list-style-type: none"> - სწორი სახელფასო პოლიტიკის გატარება; - რაციონალური აღრიცხვის სისტემის დანერგვა; - პერსონალის განვითარების მიზნებზე ორიენტირება.
ნიპილიზმი რეფორმების მიმართ იმ პერსონალის მხრიდან, რომლისთვისაც ნებისმიერი სიახლე მიუღებელი და საფრთხის შემცველია.	<ul style="list-style-type: none"> - შრომის შედეგების მკაფიო კრიტერიუმების და მათი შემოწმების სისტემის შემოღება. - პერსონალის განვითარების მიზნებზე ორიენტირება და ხელშეწყობა.
დაბალი კომპეტენციით ჩარიცხული სტუდენტი	<ul style="list-style-type: none"> - მისაღებ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ეტაპობრივი გაზრდა
მანკიერი მხარეები საუნივერსიტეტო ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში - სტუდენტის სუბიექტური შეფასება; სტუდენტების გამორჩევა რაიმე ნიშნის მიხედვით; არაობიექტურობის ელემენტი საერთაშორისო გაცვლით, სამუშაო ვაკანსიების ან სხვა პროგრამულ კონკურსებზე; ასევე გადაჭარბებული ფამილიარობა სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალსა და მკვლევრებს შორის.	<ul style="list-style-type: none"> - კორპორაციული კულტურის ნელ-ნელა დანერგვა, რომელიც მიუღებელს გახდის ასეთ ქცევას უნივერსიტეტისთვის.
ფინანსური სამსახურის და სხვა ადმინისტრაციული დეპარტამენტების პერსონალის კვალიფიკაციის რისკები, რამაც შეიძლება ავნოს უნივერსიტეტის იმიჯს განათლების პოლიტიკის გამტარებელ ორგანოებში, საერთაშორისო ურთიერთობებსა და საზოგადოებაში.	<ul style="list-style-type: none"> - ადმინისტრაციულ პოზიციებზე თანამდებობების დაკავების კონკურსის წესის შემოღება. - ადმინისტრაციული კონკურსის პროცესში საზოგადოებრივი სექტორის მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა.
ნებისმიერ დონეზე მართვის დროს მიღებული გადაწყვეტილებების პირადული ხასიათი. ამ გადაწყვეტილებების არასაკმარისი არგუმენტირება და	<ul style="list-style-type: none"> - მმართველობითი გადაწყვეტილების დასაბუთების წესის და მეთოდოლოგიის შემოღება, რომლის ამოსავალი წერტილი საუნივერსიტეტო კეთილდღეობის გაზრდა იქნება.

<p>არგუმენტირების მეთოდოლოგიის არქონა.</p> <p>ნიჰილიზმი სტუდენტების მხრიდან, „სამსახურიდან გადმორბენით“ სწავლა, ძირითადი მიზანი - დიპლომის მიღება</p>	<ul style="list-style-type: none"> - სასწავლო პროცესის და შეფასების სისტემის, ასევე პრაქტიკის სისტემის ცვლა, დამსაქმებელთან და დარგის ლიდერებთან შეხვედრების ორგანიზება, რაც აჩვენებს სტუდენტებს, რომ ლექციებზე, ჯგუფში მუშაობისას და პრაქტიკულზე მათ ცხოვრებაში გამოსადეგი უნარები მიეცემათ. - სტუდენტთან საკონტაქტო საათების მეტ-ნაკლებად თავისუფალი გრაფიკის ექსპერიმენტირება პროფესორების შრომითი უფლებების დარღვევის გარეშე. - სწავლის კორპორაციული კულტურის ნელ-ნელა დამკვიდრება, სადაც უსწავლელობა გმირობად და საამაყოდ არ ითვლება
<p>მოულოდნელი ცვლილებები განათლების პოლიტიკაში, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სწავლა/სწავლების და სამეცნიერო კვლევის, ადმინისტრაციული მართვის ჩამოყალიბებული სისტემის რყევა.</p>	<ul style="list-style-type: none"> - გამუდმებული კონტაქტი განათლების პოლიტიკის გამტარებელ ორგანოებთან და ყოველი სიახლის საქმის კურსში ყოფნა.
<p>„შავი პიარი“ უნივერსიტეტის მიმართ სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების მხრიდან.</p>	<ul style="list-style-type: none"> - უნივერსიტეტის მხარდამჭერი საზოგადოებრივი კამპანიის აქტიური განხორციელება მოდუნების გარეშე; - სამართლებრივად გამართული და ადეკვატური პასუხის გაცემა ყოველ ცილისმწამებლურ განცხადებაზე ან ქმედებაზე უნივერსიტეტის მიმართ.